საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 57
10/08/2018

57-06-4-201808101715

განკარგულება №57
10 აგვისტო 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო წესის დამტიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი (დანართი N1).
2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის გერბსა და დროშაზე განთავსებული კომპოზიციებისა და ფიგურების ჩამონათვალის განმარტებები (დანართი N2).
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შექმნის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 15 აგვისტოდან.
4. კონკურსის გამოცხადების, ჩატარების, გერბისა და დროშის მიღების სამუშაოების ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სიმბოლოების შემმუშავებელ დროებით სამუშაო ჯგუფს (ე.გორდელაძე).
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 ივლისის N62 განკარგულება.
6. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
7. განკარგულება ძალაშია დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო